

# დევიდ ლინჩი: “ჩვენ მალე მშვიდობას მოვიპოვებთ მსოფლიოში და ამაში თავის წვლილს საქართველოც შეიტანს”

ავტორი **მარი ბექაური** — 1 დეკემბერი, 2017 რუბრიკა კინოგურმანი, რევიუ



დევიდ ლინჩი საქართველოს ოთხი დღის განმავლობაში სტუმრობდა. მისი ვიზიტი ორგანიზებული იყო ***დევიდ ლინჩის კავკასიური ფონდის*** მიერ, რომლის ხელმძღვანელიც **გიგა აგლაძეა**. ამ ვიზიტს რამდენიმე ამოცანა ჰქონდა: საერთაშორისო კინოსკოლის დაარსება და ტრანსცენდენტული მედიტაციის (**TM**) ცენტრის გახსნა.




დევიდ ლინჩმა 2005 წელს დააფუძნა ფონდი (**DLF**), რომელიც მოიცავდა კინოს თანამედროვე ტექნიკურ აღჭურვილობას, სტრესის მართვის სავარჯიშოებს, ტრანსცენდენტული მედიტაციის ტექნიკას და სხვა. სათაო ოფისი ნიუ-იორკში მდებარეობს, ხოლო მთავარი ოფისები განლაგებულია ინგლისში, საფრანგეთსა და უკრაინაში. მუსიკოსი, კომპოზიტორი და რეჟისორი **გიგა აგლაძე** ლინჩის ფონდის კავკასიურ განყოფილებას 2017 წლის ივლისიდან ჩაუდგა სათავეში.

ვიზიტის ფარგლებში დევიდ ლინჩი საქართველოს პარლამენტის წევრებს შეხვდა. მათ ისაუბრეს იმ შესაძლებლობებზე, რომელიც არსებობს რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისა და სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტების ბაზაზე და რომელიც პირველ ეტაპზე ახალი სკოლის დაფუძნების მიზნით შეიძლება გამოიყენონ.

მას შემდეგ, რაც ქართული ღვინო დააგემოვნა, უყურა ქართულ ცეკვას და მოუსმინა ქართულ პოლიფონიურ მუსიკას, რეჟისორმა საკუთარი შთაბეჭდილებებიც გაგვიზიარა:

*მიყვარს საქართველო, მიყვარს ეს ძალიან თბილი, ჭკვიანი და ნიჭიერი ხალხი. ძალიან კარგი განწყობით ვარ იმის მიმართ, რაც აქ, საქართველოში მოხდება კინოსა და შემოქმედებითი ხელოვნების ამ ახალი უნივერსიტეტის მეშვეობით, და ასევე, ტრანსცენდენტული მედიტაციის ტექნიკის დანერგვით. ეს საშუალებას მოგვცემს, დავემშვიდობოთ მწუხარებას და მივიღოთ ბედნიერება.*

ლინჩმა მოაწყო საჯარო ლექცია ტრანსცენდენტული მედიტაციის შესახებ, რომელსაც დევიდ ლინჩი და **ბობ როთი** – ფონდის დირექტორი გაუძღვნენ. დამსწრე საზოგადოებას ეუწყა სამომავლო გეგმების შესახებ, ასევე, მათ უჩვენეს გაცნობითი ხასიათის ვიდეო **TM**-ზე და დაისვა შეკითხვებიც.



რეჟისორი შეხვდა მაყურებელსაც კინოთეატრ **ამირანში**, სადაც მისი ფილმი მალჰოლენდ დრაივი უჩვენეს. ონლაინ გამოცემა **CBW**-ს შესაძლებლობა მიეცა გასაუბრებოდა რეჟისორს:

**თქვენი ფილმის გმირებს ძალიან საინტერესო თავგადასავალი აქვთ, მაშინ როცა თავს გაორებულად აღიქვამენ და ზოგჯერ დეპერსონალიზაციასაც განიცდიან. როგორ ფიქრობთ, ისინი რომ ტრანსცენდენტული მედიტაციით იყვნენ დაკავებულნი, ეს განსხვავებულ ამბებს მოგვცემდა?**

ცხადია, ყველა პერსონაჟი განსხვავებულია, ყველანი იდეებიდან გაჩნდნენ, ერთმანეთთან ურთიერთობენ, არიან ისეთები, როგორებიც არიან, მაგრამ თუკი მათ გააცნობდი რაიმე ტექნიკას, რაც შესაძლებლობას მისცემდა, მთლიანად მოცულიყვნენ მისით და ამგვარი პოზიტიური გამოცდილება შეეგრძნოთ, რასაკვირველია, ისინი სხვანაირები გახდებოდნენ, უფრო ბედნიერები, უფრო მეტად კრეატიულები, უფრო მეტად მშვიდობისმოყვარენი, სიყვარულით გარემოცულნი, და, შესაბამისად, იგივე ამბავი ვეღარ გვექნებოდა!

**ჩვენ ვიცით, თუ როგორ ეხმარება ტრანსცენდენტული მედიტაცია ადამიანებს სტრესის დაძლევაში, პოსტ-ტრავმული მდგომარეობის განკურნებაში, ნეგატიური ენერგიებისგან გათავისუფლებაში… ფობიების დამარცხებაც თუ შეგვიძლია? რაიმე გამოცდილება ხომ არ გქონიათ, როდესაც მიხვდით, რომ თქვენს რომელიმე შიშსაც დაძლევდით?**

კი, ძალიან ბევრჯერ. ვიტყოდი, რომ ყველა ადამიანი გონიერია, მაგრამ არა ერთნაირად. ადამიანს უსასრულო ცნობიერება აქვს, რაც თითოეული ჩვენგანის პოტენციალია. ჩვენ დავკარგეთ კონტაქტი ჩვენს შინაგან საგანძურთან და ტრანსცენდენტული მედიტაცია სწორედ ამ განძის ხელმეორედ აღმოჩენაა, მასთან პოზიტიური გზით კონტაქტი. დღესდღეობით ადამიანები დაღლილები არიან, ღამე კარგად ვერ სძინავთ, არიან სტრესის ქვეშ, შფოთავენ, წარმოუდგენელ შიშს მოუცავს მსოფლიო. კარგი იქნება, თუ ისინი ამ ტექნიკას შეისწავლიან, რადგან ის ყველანაირ დადებითს კარს უხსნის და ყოფა უკეთესობისკენ იცვლება. მე

ძალიან ბევრი ბრაზი მქონდა, როდესაც პირველად დავიწყე მედიტირება და სულ რაღაც ორ კვირაში ის ბრაზი, რომელმაც პირველ ცოლს დამაშორა, გამშორდა ნელ-ნელა, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. უეცრად, ყველანაირი შიშიც გტოვებს, იწყებ ცხოვრებით ტკბობას, სამყაროს აღქმას უფრო ნათელ, ლამაზ ფერებში, ადამიანებს უფრო მეგობრებად აღიქვამ, ვიდრე მტრებად, ყველაფერი უმჯობესდება და ნეგატიური ენერგია მშვიდად გტოვებს, დიდი მონდომების გარეშეც კი. ეს ნამდვილად მშვენიერია!



ინტერვიუს ბოლოს ლინჩმა საქართველოში ვიზიტი ასე შეაჯამა:

*ჩვენ ინტენსიური სიყვარული გამოვცადეთ, ეს შესანიშნავი იყო. ეს იმდენად მძლავრია, რომ ნეგატივს არავითარი შანსი დარჩენია ამ ქვეყნად. ჩვენ მალე მშვიდობას მოვიპოვებთ მსოფლიოში და ამაში თავის წვლილს საქართველოც შეიტანს.*

***წყარო:*** www.cbv.ge

## ახალი ამბები

ნახეთ ვიდეო: რიკი და მორტი დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავენ

ნეტფლიქსის სერიალებში მოწევა აიკრძალება

ფორსაჟი 9-ის ნაწილი შესაძლოა თბილისში გადაიღონ

## ქვიზები

ქვიზი: როგორ გახსოვს GOT-ს მე-8 სეზონის პირველი სერია?

რამდენად კარგად იცნობ კვენტინ ტარანტინოს?

ქვიზი: როგორ გახსოვთ ბრაზილიური სერიალები?

## ქვიზები

ქვიზი: როგორ გახსოვს GOT-ს მე-8 სეზონის პირველი სერია?

რამდენად კარგად იცნობ კვენტინ ტარანტინოს?

ქვიზი: როგორ გახსოვთ ბრაზილიური სერიალები?

## ბოლოს დამატებული

ნახეთ ვიდეო: რიკი და მორტი დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავენ
5 ივლისი, 2019

რატომ არ ამართლებს პოპულარული ფილმების გაგრძელებები და რიმეიქები
5 ივლისი, 2019

ნეტფლიქსის სერიალებში მოწევა აიკრძალება
5 ივლისი, 2019

## ქვიზები

ქვიზი: როგორ გახსოვს GOT-ს მე-8 სეზონის პირველი სერია?

რამდენად კარგად იცნობ კვენტინ ტარანტინოს?

ქვიზი: როგორ გახსოვთ ბრაზილიური სერიალები?

## ბოლოს დამატებული

ნახეთ ვიდეო: რიკი და მორტი დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავენ
5 ივლისი, 2019

რატომ არ ამართლებს პოპულარული ფილმების გაგრძელებები და რიმეიქები
5 ივლისი, 2019

ნეტფლიქსის სერიალებში მოწევა

## ქვიზები

ქვიზი: როგორ გახსოვს GOT-ს მე-8 სეზონის პირველი სერია?

რამდენად კარგად იცნობ კვენტინ ტარანტინოს?

ქვიზი: როგორ გახსოვთ ბრაზილიური სერიალები?

# DAVID LYNCH "WE'LL MAKE PEACE IN THE WORLD SOON AND GEORGIA WILL CONTRIBUTE IN IT TOO."

Author: Mari Bekauri, December 1st, 2017, section film gourmand, review

David Lynch's visit in Georgia last for four days. His visit was organized by David Lynch Foundation Caucasus which is headed by Giga Agladze. This visit had several purposes: Opening of the International Film School and foundation of the Transcendental Meditation (TM) center.

David Lynch established his Foundation (DLF) in 2005 which included technical film equipment, stress-management exercises, Transcendental Meditation technique etc. The central office is located in New York, and other main offices are in England, France and Ukraine. The Musician, composer and a film director Giga Agladze became a president of David Lynch Foundation Caucasus in 2017.

During his visit David Lynch met with the members of Georgian Parliament. They discussed the possibilities that exist on the base of Rustaveli Film and Theatre University and other state or private universities which might be used for the purposes of a new school opening.

After tasting Georgian wine, watched Georgian dance performance and listened to Georgian polyphony song, the film director shared his impressions with us:

"I love Georgia, I love these very warm, clever and talented people. I have very good attitude towards the things that will have place by help of this new film and Art University, as well as introduction of the technique of Transcendental Meditation. It will enable us to say good bye to grief and accept happiness."

Lynch held a public lecture on Transcendental Meditation which was headed by David Lynch and the CEO of the foundation Bob Roth. They shared with the public their future plans, as well as showed the introductory video about TM and replied to questions.

The film director met with the public in the film theatre "Amirani", where the screening of his film "Mulholland Drive was performed. The online publication CBW had a chance to interview the film director:

THE HEROES OF YOUR FILM HAVE VERY INTERESTING ADVENTURE WHEN THEY FEEL DUAL AND DEPERSONALIZED SOMETIMES. HOW DO YOU THINK IF THEY PRACTICED TRANSCENDENTAL MEDITATION, WOULD THAT GIVE US THE DIFFERENT PICTURE?

Of course, all the heroes are different, all of them were born out of ideas, they interact with each other, they are what they are, but if they had a chance to get introduced to some technique, which would enable them to get embraced by it and had such a positive experience, of course they would become different, happier, more creative, more peaceful, full of love and consequently we would not have the same story.

WE KNOW HOW TRANSCENDENTAL MEDITATION HELPS PEOPLE TO OVERCOME STRESS AND GET REHABILITATED FROM POST-TRAUMATIC STRESS AND RELEASE NEGATIVITY… CAN WE ALSO OVERCOME PHOBIAS? DO YOU HAVE ANY EXPERIENCE WHEN YOU FOUND OUT THAT YOU GOT RID OF SOME OF YOUR FEARS?

Yes, many times. I'd say that all the humans are intelligent but not the same way. I human have an unbounded consciousness and this is potential for every one of us. We've lost connection to our inner treasure and transcendental meditation is a rediscovery of this treasure, it's a positive way contact with it. People are tired today, they can't sleep well at night, they are under stress, anxious, the whole world is covered with unimaginable fear. It's very good if they can learn this technique as it opens the door towards everything positive and changes towards better life.

I had much anger when I first started to meditate and it took me only two weeks to get rid of this anger which was the reason if breaking up with my first wife, little by little without any efforts. Suddenly all the fears leave us and we start to get pleasure out of life, perceive the world with more light beautiful colors, you see people more like friends and not like enemies, everything becomes better and negative energy starts to leave you without any efforts. And this is really fantastic!

At the end of the interview Lynch summed up his visit saying:

We experienced intense love, it was wonderful. It's so powerful that negativity has no more chances in this world. We'll make peace in the world soon and Georgia will contribute in it too."